ჩვენი შუამავალი ჩვენი მაგალითია-4

# მერიემი და სიკეთის გუნდი

ჰილალ ლექესიზ კილიჩ

მხატვარი:

გულშაჰ ირმაქ



თურქეთის რესპუბლიკის სამმართველო
დიანეთის საქმეთა სამმართველო

# მერიემი და სიკეთის გუნდი

ჰილალ ლექესიზ კილიჩ

გამოცემის ხელმძღვანელი : ჯაფერ თაირ დოიმაზ
გამოცემის კოორდინატორი : იუნუს იუქსელ
რედაქტორი : ზეინეფ ულვიე ოზქან
შესწორება : ზეინეფ სელინ თერზი
გარეკანისა და შიდა დიზაინი : შეიმა ჩაქირ
გამოცემის მომზადება : ალი ჩინქი

მე-2 გამოცემა, ანკარა, სექტემბერი 2023

ისბნ 978-625-435-590-5
2023-06-Y-0003-2457

სერტიფიკატის ნომერი : 12930

ქართულად თარგმნა : ნინო კახაძე
ქართული გრაფიკა : ბილალ ილქაი

# მელიები და სიკეთის გუნდი

ჰილალ ლეექეტინ ყილიჩ

მხატვარი: გულშაჰ ირმაქ

ამ წიგნის მფლობელი :)



მერიემი სკოლიდან რომ გამოდიოდა, მას ბაბუა დახვდა.
საყვარელი და ცნობისმოყვარე თვალები ბაბუას მიაპყრო.

-ჩემო მერიემ, დღეს დედას რაღაც საქმეები ჰქონდა და ამიტომ მე მოგაკითხე, - უთხრა ბაბუამ.

-ბაბუა, რა კარგია შენ რომ მოხვედი, - უთხრა მერიემმა და ძლიერად ჩაეხუტა.

მერიემს ძალიან უყვარდა ბაბუასთან ერთად დროის გატარება.

მასთან ერთად პარკში თამაშობდა, უფრო მეტიც, ნაყინის საჭმელადაც დადიოდნენ.



როგორც ყოველთვის, თავდაპირველად პარკში წავიდნენ. მერიემი დღეს ძალიან ჩაფიქრებული ჩანდა. მაინც მხიარულად დარბოდა პარკში და თამაში დაიწყო. საქანელაზე ქანაობა რომ მოეწყინა, აიწონა-დაიწონაზე დაჯდა. ამ დროს სასრიალოზე მოსრიალე ბავშვი დაინახა. ბაბუასთან მივიდა, ხელი ჩაჰკიდა და უთხრა:

**-ბაბუა უკვე საკმარისად ვითამაშე, შეგვიძლია წავიდეთ.**



ბაბუა მიხვდა, რომ მერიემს რაღაც აწუხებდა.

ნაყინის გამყიდველისაკენ წავიდნენ. მერიემი ხშირად უკან მიიხედავდა და იმ ბავშვს უყურებდა. თითქოს მისი დანახვისას მწუხარება იპყრობდა.

მენაყინესთან იისფერი ყვავილებიან მაგიდასთან დასხდნენ.

ყვავილები და ნაყინის სურათები რომ დაინახა, მერიემი ისევ გამხიარულდა.

**შეკვეთა გააკეთეს და სულმოუთქმელად ელოდებოდნენ.**





ნაყინის ჭამა რომ დაასრულეს, ბაბუამ ჰკითხა:

- აბა მითხარი, რა გააკეთე დღეს სკოლაში?

მერიემი მოიღუშა.

- დავხატე, მაგრამ... და გაჩუმდა.

ღრმად ჩაისუნთქა და გააგრძელა:

- ძალიან ლამაზი თევზი დავხატე, შენთვის უნდა მეჩუქებინა. მაგრამ მეგობარმა დამიხია, მიუგო.



თავით პარკში მოთამაშე ბავშვისაკენ მიუთითა და უთხრა:
- ნახე, ახლა პარკში თამაშობს. ძალიან მაწყენინა.

## თვალები აუცრემლიანდა.



- მხოლოდ შენ გექცევა ასე?

- ჰკითხა ბაბუამ.

- არა. ჩემი ყველა მეგობარი უკმაყოფილოა. მასწავლებელი გამუდმებით აფრთხილებს, მაგრამ არც იმას უსმენს. ჩვენც და ჩვენს მასწავლებელსაც გულებს გვტკენს.



ბაბუამ პარკში პატარა და საყვარელი ბავშვი დაინახა. როგორც ჩანს, ბავშვმა, რომელიც ასე საყვარლად გამოიყურებოდა,

**მერიემის გრძნობებზე ითამაშა.**



ბაბუას უნდოდა კარგი მაგალითით ეჩვენებინა მერიემისათვის გზა:

-მერიამ, შენ თუ იცი, რომ ჩვენი შუამავლის დროსაც იყვნენ მის ირგვლივ ადამიანები, რომლებიც უხეშად ექცეოდნენ?

მერიემმა დიდი ინტერესით შეხედა ბაბუას და ჰკითხა:

-ჩვენი შუამავლის დახატული ნახატი დახიეს?

ბაბუას გაეცინა და მიუგო:

**- არა, ისინი ფიქრობდნენ, რომ ძლიერნი იყვნენ და გარშემო მყოფ ადამიანებს სასტიკად ეპყრობოდნენ.**

**-და ჩვენი შუამავალი როგორ მოიქცა?**





-ჩვენი შუამავალი და მისნაირი გულკეთილი მეგობრები შეკავშირებულან. დაუნდობელი ხალხის წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

- ეგ როგორ?

- იმათ დაუდგნენ გვერდში, ვისაც გული ატკინეს.

მერიემი დაფიქრა და თქვა:



-მივხვდი! კლასის მშვიდი მეგობრები რომ გავერთიანდეთ, უფრო ძლიერნი ვიქნებით. ის ბავშვიც იფიქრებს, რომ ჩვენ ძლიერნი ვართ და ზიანს აღარ მოგვაყენებს. უფრო მეტიც, შესაძლებელია მის ქცევაზე ხელი აიღოს.

## -დიახ, სიკეთის ძალა,

სიცილით თქვა ბაბუამ. ცოტა ხანი კიდევ ისაუბრეს და შემდეგ სახლში დაბრუნდნენ.



muslim georgia

მეორე დღეს, სკოლაში წასვლის წინ მერიემი ძალიან აღელვებული იყო. საკლასო ოთახში რომ შევიდა, სამი მოსწავლე იყო. ის მეგობარი არსად ჩანდა. მერიემმა საკლასო ოთახში მყოფებს

ჩვენს შუამავალსა და მის მეგობრებზე მოუთხრო.



muslim georgia

მათი საუბრის პროცესში, ორი მეგობარი
კიდევ შემოვიდა საკლასო ოთახში. მერიემმა
ახალ მოსულებსაც გაუზიარა თავისი აზრები.

## გაერთიანების ამბავზე
## შეთანხმდნენ.



ცოტა ხანში გაკვეთილი დაიწყო. ეზგის ორიგამის გაკეთება კარგად გამოსდიოდა. მასწავლებელმა ქაღალდისაგან გემის გაკეთება რომ აჩვენა, პირველმა მან გააკეთა. მეგობრებმა მიულოცეს. სწორედ ამ დროს, ის ბავშვი სკამიდან წამოდგა და ეზგისაკენ წავიდა. ეზგიმ მაშინვე დამალა ქაღალდის გემი.

**მაგრამ ის იძულებით წართმევას ცდილობდა.**

მასწავლებლის გაფრთხილებამაც არ გაჭრა.



ამ დროს საკლასო ოთახში მყოფი ყველა ფეხზე წამოდგა.
მერიემი და მისი მეგობრები მივიდნენ და

## ეზგის
## ბვერდში დაუდბნენ.



- რაც შენ გააკეთე, არაა მართებული. ბოდიში უნდა მოიხადო, უთხრეს.

ბავშვი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ არავის ნათქვამს უსმენდა, გაშეშებული დარჩა. ცოტა ხანი შეჩერდა და ყვირილი დაუწყო. მეგობრებს კი არ შეეშინდათ და მის პირისპირ მედგრად იდგნენ.



muslim georgia

ბოლოს გაოცებულმა ბავშვმა თავი დახარა და
თავის ადგილას დაჯდა.

აშკარა იყო, რომ რცხვენოდა.

მეგობრებმა ჩათვალეს, რომ მიზანს მიაღწიეს,

# მაგრამ...



შემდეგ გაკვეთილზე, ჯგუფური თამაშისას მაჰმუთს ხელი მიკრა. მაჰმუთი ძირს დაეცა და მკლავი იტკინა. სიკეთის გუნდი მაჰმუთთან მივიდა და ისევ გააფრთხილა. მას შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა.

## მერიემი და სიკეთის გუნდი

ჩვენი შუამავლის მსგავსად მოქცევას განაგრძობდა. ბოლოს იმ მეგობარსაც დაათმობინეს მავნე ჩვენები.



muslim georgia

მერიემისა და საკლასო ოთახში არსებული ყველა ბავშვისათვის, იქ გატარებული დრო უკვე **გაცილებით სასიამოვნო იყო.**



კვირის ბოლო მოვიდა. მერიემს ბაბუა სტუმრად ეწვია. მერიემმა ბაბუა როგორც კი დაინახა, თვალი ჩაუკრა და უთხრა:

## - სიკეთის გუნდმა გაიმარჯვა. ;)

ბაბუამაც გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. მათ შორის არსებული, ეს დაშიფრული საუბარი, ბაბუას გარდა ვერავინ მიხვდა.



muslim georgia